ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

 790 20-33-05

577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №167

20 ივნისი 2013 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „კურორტი ბახმაროსათვის“ (ს/კ - 441993648) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის“ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტი ბახმაროს“ (ს/კ - 441993648) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 22 ერთეული სანაგვე ურნა (მოძრავი ქონება) საერთო ღირებულებით - 7084 (შვიდიათასოთხმოცდაოთხი) ლარი.
2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თხოვების ფორმით.
3. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (თამაზ ჯინჭარაძე) მხარეთა შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტების მომზადება.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტი ბახმაროს“ (ს/კ - 441993648) 2013 წლის 18 ივნისის №5 წერილი.

საკრებულოს თავმჯდომარე
ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,
იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*